ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის წევრი

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.12.2014

საჩივრის რეგისტრაციის №102/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. მ-ის მიმართ, /სიითი N/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. მ-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 04 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. გ-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. მ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის 06 ივნისს მ. გ.-სა და ადვოკატ ვ. მ.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება N6 იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, მ. გ.-ის შვილის გ. გ.-ის ინტერესების დაცვისათვის გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ვ. მ.-მ 2014 წლის 19 ნოემბერს ბრალდების მხარეს გადასცა დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, თუმცა ადვოკატმა

სასამართლოში არ წარადგინა რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა, რომ მან ბრალდების მხარეს გადასცა სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების შესახებ ინფორმაცია მოწმის სახით დასაკითხ იმ პირთა მითითებით, ვინც შექმნა ან მოიპოვა წერილობითი მტკიცებულებები. სწორედ ამ საფუძვლის გამო, დაცვის მხარის ყველა მტკიცებულება სრული მოცულობით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ (განჩინება N) დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი.

1.4 2014 წლის 01 დეკემბერს ადვოკატმა ვ. მ.-მ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ დაეშვა დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები მტკიცებულებად, მაგრამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ უარი ეთქვა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის აღნიშნული ქმედებისა და მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის გამო მისი უდანაშაულობა სასამართლოში ვეღარ დამტკიცდა.

1.6 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორთან გასაუბრებისთვის ჩანიშნა სხდომა 2014 წლის 25 დეკემბერს, თუმცა საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ იყო სტუდენტი, ცხოვრობდა ბათუმში და ვერ შეძლებდა სხდომაში მონაწილეობას. ასევე განმარტა, რომ საქმის მასალების სრულად ადასტურებდა მის პოზიციას და კოლეგიას შეეძლო გადაწყვეტილების მიღება მისი ზეპირი მოსმენის გარეშე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ვ. მ.-მ, 2014 წლის 01 დეკემბერს ეთიკის კომისიაში გამოაგზავნა ახსნა-განმარტება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დასკანერებული სახით, ხოლო 2014 წლის 17 დეკემბერს ადვოკატმა ეთიკის კომისიაში პირადად წარმოადგინა მეორე ახსნა-განმარტება, რომელთა მიხედვითაც 2014 წლის 06 ივნისს მ. გ.-სა და მას შორის გაფორმდა ხელშეკრულება N6, რომლის მიხედვითაც მას ევალებოდა მ. გ.-ის შვილის - გ. გ.-ის ინტერესების დაცვა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან პირველი დღიდანვე დაიწყო მტკიცებულებათა შეგროვება კანონის სრული დაცვით. ასევე დაიწყო ყველა საჭირო შუამდგომლობების დაყენება, რაც შეამსუბუქებდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის მდგომარეობას, ეცნობოდა საქმის მასალებს, ახორციელებდა მიმოწერას ბრალდების მხარესთან, ასევე ახორციელებდა არაერთ საპროცესო მოქმედებას: კერძოდ ვიდეო მასალების გამოთხოვას ,,ვისოლის'' ბენზოგასამრთი სადგურიდან და ამავე სადგურთან ახლოს მყოფი საკანცელარიო მაღაზიიდან, რაც მის მიერ მოპოვებული იქნა ნებაყოფლობით. ასევე ღებულობდა ყველა გაგზავნილ მიწერილობებზე პასუხებს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფ გ. გ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა და იმყოფებოდა პატიმრობაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ ამ დროისათვის არ აღიარებდა მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას, ადვოკატის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მის დაცვის ქვეშ მყოფს პატიმრობა 2014 წლის 18 ივნისს შეეცვალა გირაოთი.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მისი ინიციატივით და მისი დაცვის ქვეშ მყოფის თანხმობით 2014 წლის 12 ივნისს საქართველოს ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში დაინიშნა ავტოტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა. 2014 წლის 17 ივლისის ექსპერტიზის N დასკვნის მიხედვით გ. გ-ს ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ დადგინდა. ბრალდების მხარის მიერ დაინიშნა კომისიური ექსპერტიზები საქართველოს შსს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. შსს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტებმა თავიანთი დასკვნებით დადეს შერეული ბრალი, ხოლო ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნითაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი გ. გ-ს ბრალეულობა არ დადგინდა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატი მონაწილეობას იღებდა ბრალდების მხარის მიერ ჩატარებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებაში და თავად აწარმოებდა გამოძიებას და აგროვებდა მტკიცებულებებს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად აწარმოა მოქალაქეთა გამოკითხვები: 2010 წლის 10 ივნისს გამოკითხა თ. თ., 2014 წლის 11 ივნისს მ. ც., 2014 წლის 23 ივნისს გ. ა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან ასევე გამოითხოვა ,,ვისოლის“ ავტოგასამართი სადგურიდან და იქვე მდებარე საკანცელარიო მაღაზიაზე დამონტაჟებული ვიდეოთვალით გადაღებული ფირები, რითაც დასტურდებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ მოძრაობის წესებით დაცვით მანქანის მართვა და დააყენა არაერთი შუამდგომლობა როგორც აჭარის ა.რ. პროკურატურაში, ასევე სასამართლოში.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მან როგორც დაცვის მხარემ კანონის სრული დაცვით, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომდე 5 დღით ადრე 2014 წლის 19 ნოემბერს ბრალდების მხარეს გადასცა მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებათა ასლები, სულ - 65 ფურცელი და 2 ცალი CD დისკი, რაზეც გაფორმდა ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ. 2014 წლის 19 ნოემბერს შედგენილ ოქმს ხელს აწერს პროკურორი ბ. მ. პროკურორმა სასამართლო სხდომაზეც დაადასტურა დაცვის მხარის მტკიცებულებების მიღების ფაქტი, ასევე სასამართლომ დაადასტურა დაცვის მხარის მიერ სასამართლოსათვის ყველა მტკიცებულების წარდგენის ფაქტი, მაგრამ არ დაუშვა დაცვის მხარის მიერ კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები ბუნდოვანი საფუძვლით. ადვოკატმა თურმე არ გადასცა მეორე განსასჯელს მასალები, რომელსაც ბრალი 28 ოქტომბერს წაუყენეს. ადვოკატის განმარტებით, მას 19 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრამდე არანაირი მტკიცებულება არ მოუპოვებია, რომ მეორე მხარისთვის გადაეცა. კანონში, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილში ნათლად წერია, რომ მხარეებმა უნდა გაცვალონ მტკიცებულებები. მხარეებს კი წარმოადგენენ დაცვის და ბრალდების მხარეები. ადვოკატმა მტკიცებულებები პროკურორ ბ. მ.-ს გადასცა სასამართლოში პირველ წარდგენამდე, რაც დასტურდება პროკურორის ხელმოწერით. შესაბამისად მან მტკიცებულებათა ასლები მიიღო.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მან პროკურორს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად გადასცა მტკიცებულებათა ასლები და არა მასალები, ამიტომ დაცვის მხარემ

არ ჩათვალა საჭიროდ ხელმეორედ მტკიცებულებათა ნუსხის შედგენა, რადგანაც ორივე დოკუმენტი ერთი და იგივე ძალის იქნებოდა. მას, რომ ჩაეწერა ოქმში სიტყვები ,,ჩემს ხელთ არსებული მასალების ქსეროასლები“ მაშინ ექნებოდა დარღვეული აღნიშნული მუხლის მოთხოვნა, მაგრამ მან ოქმში ჩაწერა მტკიცებულებების ასლები, რასაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ არ მიაქცია ყურადღება და დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მიერ კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები. მასალების გადაცემასა და მიღებაზე ხელს აწერს პროკურორი და ის ხელს აწერს არა მასალების მიღებაზე, არამედ მტკიცებულებათა მიღებაზე. თუ პროკურორმა მტკიცებულებათა ასლები მიიღო რატომ იყო საჭირო მტკიცებულებათა ნუსხის გადაცემა? ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული ჩანაწერი მოსამართლემ ვერ შეამჩნია, რითაც დაცვის მხარეს მოუსპო სამართლიანი სასამართლოს საშუალება. ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება და მიზანმიმართულად ჩამოიშორა დაცვის მხარე, რათა არსებითი განხილვისას სასამართლოს სხდომაზე პროკურატურას მისცემოდა პროცესის წარმართვის უპირატესობა. ამ ქმედებით დაირღვა როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მოთხოვნა, რაც ითვალისწინებს „სამართლიანი სასამართლოსა და სწრაფი მართლმსაჯულების“ უფლებას, ასევე მე-9 მუხლით გათვალისწინებული „მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის“ პრინციპი და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის თითქმის ყველა მუხლი.

2.9 ადვოკატის განცხადებით, სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ავტოტექნიკურ-ტრასოლოგიური კომისიური ექსპერტიზის N დასკვნა. აღნიშნული ექსპერტიზა დანიშნული იყო არა დაცვის მხარის ინიციატივით, არამედ ბრალდების მხარის ინიციატივით. შესაბამისად სასამართლოს აღნიშნული მტკიცებულება უნდა დაეშვა. თუმცა ეს მტკიცებულებაც დაცვის მხარის სხვა მტკიცებულებებთან ერთად დაუშვებლად იქნა ცნობილი, ვინაიდან, ამ დასკვნით გ. გ. არის გამართლებული, რაც არ აწყობდა პროკურატურას.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მან 2014 წლის 19 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა შუამდგომლობა მტკიცებულებებთან ერთად, რაც ასევე მოიცავდა მითითებას არსებითი განხილვისას სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით თ. თ.-ის, გ. ა.-ის და მ. ც.-ის დაკითხვის შესახებ. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ ტრაგედიას და იცოდნენ ყველა დეტალი. ადვოკატმა ასევე იშუამდგომლა, რომ მოწმის სახით დაკითხულიყვნენ ბრალდებული გ. გ. და ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი დ. გ.

2.11 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან სასამართლოს უკანონო განჩინება დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ საჩივრდება მხოლოდ განაჩენთან ერთად, მან 2014 წლის 01 დეკემბერს მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით, რათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს არსებითი განხილვისას ასევე განხილული ყოფილიყო მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილება. აღნიშნულის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი შედეგი დადგებოდა, თუმცა სწორედ ამ პერიოდში მოხდა მის მიმართ ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანა.

2.12 ადვოკატის განმარტებით, მან არ იცის ვინ არის მისი დაცვის ქვეშ მყოფის ახლანდელი ადვოკატი, რადგან ეს პიროვნება მას არ შეხვდა. ადვოკატის განცხადებით, სწორედ ამჟამინდელმა ადვოკატმა შემოატანინა საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში საჩივარი მის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემდგომში ვითომდა გამოეყენებინა საქმეში ბრალდებულის სასარგებლოდ, მაშინ როდესაც, ბრალდებულის ახლანდელ ადვოკატს შეეძლო ემოქმედა საქმეში უკვე არსებული ორი შუამდგომლობით.

2.13 ადვოკატი სთხოვს ეთიკის კომისიას დეტალურად განიხილოს და შეისწავლოს მისი ახსნა-განმარტება, ვინაიდან მის მიმართ შემოტანილია დაუმსახურებელი საჩივარი. მან ყველაფერი გააკეთა რაც შეეძლო, ხოლო უკანონო გადაწყვეტილება გამოტანილია მოსამართლე ხ. კ.-ის მიერ.

2.14 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატთან გასაუბრებისთვის ჩანიშნა სხდომა 2014 წლის 25 დეკემბერს, თუმცა ადვოკატმა განმარტა, რომ კოლეგიას შეეძლო გადაწყვეტილების მიღება მისი ზეპირი მოსმენის გარეშე, ვინაიდან მას სრულად ჰქონდა ასახული პოზიცია ახსნა-განმარტებებსა და თანდართულ მასალებში.

2.15 2015 წლის 21 აპრილს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ვ. მ.-მ განმარტა, რომ პროკურორისთვის გადაცემულ 2014 წლის 19 ნოემბრის მტკიცებულებათა გაცვლის ოქმში მითითებულია იმ მოწმეთა გამოკითხვის ოქმების ჩამონათვალი, ვინც სასამართლოში უნდა წარდგენილიყვნენ, კერძოდ თ. თ.-ის, გ. ა.-ს, მ. ც.-ისა და ექსპერტ გ.-ის, მაგრამ არ არის მითითებული, რომ მოწმის სახით დაიკითხებოდნენ აღნიშნული პირები. 2014 წლის 19 ნოემბრის მტკიცებულებათა გაცვლის ოქმში ცალკე უნდა ყოფილიყო მოწმედ დასაკითხი პირების ვინაობები მითითებული. შესაბამისად პროკურორს ვერ ეცნობა თუ ვის დაკითხავდა ადვოკატი სასამართლო პროცესზე. იმავე დღეს როცა პროკურატურას გაუცვალა ადვოკატმა მასალები, სასამართლოშიც შეიტანა მტკიცებულებები და იქ მიუთითა მოწმედ დასაკითხ პირთა ვინაობა. ადვოკატის შეფასებით, მან ბრალდების მხარეს მტკიცებულებები გაუცვალა და მხედველობიდან გამორჩა დასაკითხ პირთა სიის მითითება, რაც შეიძლება მექანიკურად გამორჩა, ვინაიდან სასამართლოში წარდგენილი ჰქონდა მოწმედ დასაკითხ პირთა სია.

2.16 ადვოკატის განმარტებით, მან ოქმი შესაძლო მტკიცებულებების გაცვლის თაობაზე პროკურორს გაუცვალა და სასამართლოში წარადგინა 2014 წლის 19 ნოემბერს, 8 თუ 9 დღე იყო დარჩენილი წინასასამართლო სხდომამდე და შესაძლებელი იყო ადვოკატს ის შუამდგომლობა, რომელიც სასამართლოში წარადგინა სრულყოფილი ფორმით, წარედგინა და გაეცვალა პროკურატურაში დამატებით მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე, თუმცა მხედველობიდან გამორჩა. ადვოკატმა მასალები მიიტანა და ჩააბარა პროკურატურაში, სასამართლოში აღარ გადაამოწმა და შესაძლებელია მექანიკურად გამორჩა.

2.17 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა წინასასამართლო სხდომის მეორე დღესვე მიმართა სხვა ადვოკატს და მასთან შეწყვიტა ურთიერთობა. 2014 წლის 27 ნოემბერს მხარეებმა შეადგინეს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ.

2.18 ადვოკატი არ ეთანხმება განჩინებას მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე და მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად მიიღო გადაწყვეტილება. სასამართლოს შეეძლო მტკიცებულებები დაუშვებლად ეცნო იმ ნაწილში, სადაც არ იყო მითითებული მოწმეთა ვინაობა და დანარჩენ ნაწილში დასაშვებად ეცნო, რაზეც ადვოკატმა წინასასამართლო სხდომის მეორე დღეს შეიტანა შუამდგომლობა სასამართლოში მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ სსსკ–ის 239–ე მუხლით და მოითხოვა მტკიცებულების ნაწილის დასაშვებობა. 2014 წლის 01 დეკემბრის შუამდგომლობის დაწერის დროს საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეწყვეტილი იყო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, მაგრამ ადვოკატმა მაინც შეიტანა შუამდგომლობა.

3 დისციპლინალური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2015 წლის 13 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ვ. მ.-მ გ. გ.-ის დაცვისას 2014 წლის 19 ნოემბერს ბრალდების მხარეს სასამართლოში პირველ წარდგენამდე სს საქმესთან დაკავშირებით გადასცა იმ დროისათვის მის ხელთ არსებული შესაძლო მტკიცებულებების ასლები, რაზეც შედგა ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ, მაგრამ ბრალდების მხარისთვის გადაცემული 2014 წლის 19 ნოემბრის ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ არ მოიცავდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 19 ნოემბერს წარდგენილი შუამდგომლობის ანალოგიურ შინაარს, კერძოდ საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით გამოსაძახებელ პირთა წრეს, შესაბამისად დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს არ მიაწოდა მის ხელთ არსებული ინფორმაცია სრულად, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებდა, რასაც შედეგად დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა მოჰყვა, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა" ქვეპუნქტი; ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ე" ქვეპუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 მომჩივან მ. გ.-სა და ადვოკატ ვ. მ.-ს შორის გ. გ.-ის დასაცავად გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება N6;

4.1.2 ადვოკატ ვ. მ-ის მიერ გამოძიების ეტაპზე გ. გ.-ის შეფარდებული აღკვეთის საპატიმრო ღონისძიება არასაპატიმრო ღონისძიება გირაოთი შეიცვლა;

4.1.3 ბენზოგასამართი სადგურიდან ,,ვისოლიდან'' ადვოკატ ვ. მ-ის ინიციატივით მოპოვებულია ვიდეო კადრები, რომლებიც ადასტურებენ მისი დაცვის ქვეშ მყოფი გ. გ.-ის არაბრალეულ ქმედებას;

4.1.4 ადვოკატ ვ. მ-ის მიერ მოპოვებულ გამოკითხვის ოქმების ავთენტურობა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით;

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *განხილვის კოლეგიის 21.04.2015 წლის სხდომის ოქმს;*
2. *საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას N6;*
3. *ეთიკის კომისიის განხილვის სხდომაზე ადვოკატ ვ. მ-ის მიერ ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა განმარტებებს;*
4. *N102/14 საქმეში არსებულ მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ანალიზს.*

4.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

მომჩივანი გ. გ. სადავოდ ხდის:

4.2.1 ადვოკატ ვ. მ-ის მიერ წარმოდგენილ 01.12.2014 წლის ახსნა-განმარტებას;

4.2.2 ადვოკატ ვ. მ-ის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობას მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ დათარიღებულს 19.11.2014 წლით;

4.2.3 ადვოკატ ვ. მ-ის მიერ ბრალდების მხარისათვის გადაცემულ ოქმს მტკიცებულებათა გაცვლის შესახებ დათარიღებული 19.11.2014 წლით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *განხილვის კოლეგიის 21.04.2015 წლის სხდომის ოქმს;*
2. *ეთიკის კომისიის განხილვის სხდომაზე ადვოკატ ვ. მ-ის მიერ ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილ დეტალურ ახსნა-განმარტებებს;*
3. *მომჩივან გ. გ.-ის ახსნა-განმარტებას;*
4. *N102/14 საქმეში არსებულ მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ანალიზს.*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. მ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიის შეფასებით ადვოკატ ვ. მ-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმები:

6.1.1. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ა” ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ადვოკატი ვალდებულია: ,,კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“;

6.1.2. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ე” ქვეპუნქტი, რომლის თანახმად: ,,ადვოკატი ვალდებულია, შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები“;

6.1.3. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.2. ადვოკატმა ვ. მ.-მ დაცვის მტკიცებულებების მოპოვებისათვის 2014 წლის 12 ივნისს მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტზის ჩატარების მოთხოვნით (ხელშეკრულება N, 12/06/2014; განცხადება ავტოტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, 12/06/2014), ადვოკატმა მიიღო 17/07/2014 წლის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის N დასკვნა, რომლის მიხედვითაც ,,საქმეში არსებული მასალების მიხედვით, შემთხვევაში მონაწილე ავტომობილ ,,ოპელ-ფრონტერა“-ს მძღოლზე გ. გ.-ზე არ იყო დამოკიდებული მოცემული საგზაო-სატრანპორტო შემთხვევის თავიდან აცილება და მის მოქმედებაში ,,საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა, რამაც გამოიწვია მოცემული საგზაო-სატრანპორტო შემთხვევა. მოცემული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება მთლიანად დამოკიდებული იყო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილ ,,ოპელ-ასტრა“-ს მძღოლის მ. მ.-ის მოქმედებაზე, თუ იგი ,,საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, მესამე პუნქტის და 34-ე მუხლის, მეხუთე პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად იმოქმედებდა მოცემული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამორიცხული იქნებოდა.“ იგივე დასკვნა გასცა საპატრულო პოლიციის გამომძიებლის მიერ მოთხოვნილი სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტმა (ექსპერტის დასკვნა N, 09/10/2014); ადვოკატმა განცხადებით მიმართა აჭარის შ.ს მთავარი სამმართველოს დაცვის სამსახურის უფროსს (განცხადება 09.06.2014); ადვოკატმა აწარმოა შემდეგ პირთა გამოკითხვები: თ. თ. (მოწმის გამოკითხვის ოქმი 10.06.14), გ. ა. (მოწმის გამოკითხვის ოქმი 23.06.14), მ. ც. (მოწმის გამოკითხვის ოქმი 11.06.14); ადვოკატმა წერილობითი მიმართვების საფუძველზე მიიღო პასუხები აჭარისა და გურიის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან; აჭარის ა.რ. საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოდან; ,,ვისოლის“ ავტოგასამართი სადგურის დირექტორისაგან - 1 ფ, 1 CD დისკი, 13.06.14; შპს E 2010 მაღაზია ე. ს.-საგან - 1 CD დისკი, 13.06.14; ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხ. კ.-ის პასუხი, 1 CD დისკი (სასამართლო სხდომის ჩანაწერი); შ.ს სამინისტროს უსაფრთხოების დეპარტამენტის პასუხი; ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ 18.06.14, რაც დაკმაყოფილდა; ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა.რ მთავარი სამმართველოს გამომძიებელთან, რომელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა აჭარის ა.რ პროკურატურის შ.ს ორგანოებში გამოძიების საპროცესო

ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორთან; ადვოკატმა დაწერა საკასაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 08 ივნისის განჩინებაზე; ადვოკატმა 2014 წლის 27 ოქტომბერს დააყენა შუამდგომლობა აჭარის ა.რ პროკურატურაში სისხლის სამართლის N საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ და მიიღო აჭარის შ.ს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის პასუხი (2014 წლის 29 ოქტომბრის უარი N შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე).

6.3. ადვოკატმა ვ. მ.-მ 2014 წლის 19 ნოემბერს ბრალდების მხარეს გაუცვალა მის ხელთ იმ დროისათვის არსებული ინფორმაცია მტკიცებულებების გაცვლის შესახებ, ანალოგიური ინფორმაცია წარადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც, სადაც მითითებულია მხოლოდ კონკრეტულ პირთა გამოკითხვის ოქმები, მაგრამ მასში მითითებული არ არის გამოკითხულ პირთა დაკითხვის მოთხოვნა, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინებით (იხილეთ განჩინების მე-4 გვერდი) ადვოკატს ჩაუთვალა სსსკ-ის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დაღვევად და ადვოკატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სცნო დაუშვებლად.

6.4. ადვოკატ ვ. მ.-ს აღნიშნული განჩინების გასაჩივრების უფლება ჰქონდა მხოლოდ განაჩენთან ერთად, რისი საშუალებაც მას არ მიეცა, ვინაიდან იგი აცილებული იქნა მოცემული სისხლის სამართლის საქმიდან უშუალოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ და საჩივრის შეტანით ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში.

6.5. განხილვის კოლეგია მხედველობაში იღებს იმ არსებით გარემოებებს, რომ უშუალოდ ადვოკატ ვ. მ-ის შუამდგომლობის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ პატიმრობაში მყოფი, ამჟამად ეთიკის კომისიაში მომჩივანი გ. გ. განთავისუფლდა პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს გ. გ. არ აღიარებდა დანაშაულს და წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ თვლიდა. ასევე განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატ ვ. მ-ის მიერ ახალი გარემოებებით ბათუმის საქალაქო სასამართლოსათვის მიმართვის საფუძვლის არსებობის მოტივით არაერთი მტკიცებულებების ხარისხს, რამაც რეალურად ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეუქმნა რწმენა გ. გ.-ის პატიმრობიდან განთავისუფლების გადაწყვეტილების მიღების დროს. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნა უდავო პრიორიტეტია ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნასთან და ყოველივე ეს განხორციელდა უშუალოდ ადვოკატის ძალისხმევით, მისი პროფესიული ჩვევების წყალობით, რაც დამთავრდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის პატიმრობიდან განთავისუფლებით და გ. გ. დღესაც თავისუფლებაშია, მიუხედავად იმისა, რომ მისი სასამართლო პროცესები დღესაც გრძელდება. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომა ვერ გადაფარავს ადვოკატის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მისი დაცვის ქვეშ მყოფის პატიმრობიდან განთავისუფლების ხარისხს.

6.6. ადვოკატის მიერ გამოძიების პროცესში მტკიცებულებების მოპოვების ფაქტი და დანიშნულება, წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების წარდგენა, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის დაყენება მეტყველებს ადვოკატის პროფესიონალიზმზე და მისი ქმედების დადებით შედეგებზე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, რამეთუ მტკიცებულებათა

მოპოვების და წარდგენის საპროცესო ვალდებულება ადვოკატს არ გააჩნია, მას გააჩნია პროფესიული ინტერესი, რაც ამ ინტერესის კლიენტის სასარგებლოდ წარმართვისკენ არის მიმართული. ადვოკატის კანონისმიერი ფორმის დაუცველობა მისი მოპოვებული მტკიცებულებების დაშვების მაღალი ალბათობისათვის რეაგირებული იქნა ბრალდების მხარის მიერ, რომლის შუამდგომლობის საფუძველზე მოხდა სასამართლო განჩინებით არ დაშვება დაცვის მხარის მტკიცებულებებისა. გასათვალისწინებელია პროცესის შეჯიბრებითი ხასიათი და მოსამართლის ფართო დისკრეცია მტკიცებულებათა დაშვების კომპეტენციისას. წინასასამართლო სხდომის დროს ყოველთვის არსებობს მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის რისკი და ამის საფუძველი არა მხოლოდ საპროცესო (ფორმალური) მდგომარეობაა, არამედ მოწინააღმდეგე მხარის საწინააღმდეგო პოზიცია და მისი ტაქტიკური ფორმატი ეცადოს არ დაუშვას მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებები. ამიტომ ადვოკატის პროფესიული ქცევის შესაბამისობა ეთიკის კოდექსთან და კანონთან არ უნდა იქნეს ერთ ფრაგმენტში განხილული, არამედ ერთობლიობაში, რაც ადვოკატის პროფესიულ არაეთიკურ კონტექსტზე არ საუბრობს და ნაკლებად აყენებს ზიანს ნდობას, რომელსაც ეფუძნება მეტწილად პროფესიული ფასეულობები.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე–5 მუხლის მე–7 პუნქტით, 33–35 მუხლებით, 37 მუხლით, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. №102/14 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ ვ. მ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/